**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს [illegible] ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სიცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

---

**მომავალ 1878 წელს გაზეთი**

## „დროება"

**გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.**

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

**მომავალ წელსაც „დ რ ო ე ბ ა" მუდამ დღე გამოვა,**

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

**ხელის-მოწერა**

Თ ფ ი ლ ი ს შ ი—„მიიღება დროების" რედაქციაში (**სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში**).

Გ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Д р о э б а".*

**ფასი გაზეთისა**

| | | |
|---|---|---|
| მთელის წლისა . . . . . . . . . . . . | 8 მან. | „ კაპ. |
| ექვსის თვისა . . . . . . . . . . . . | 4 „ | 50 „ |
| Ოთხის თვისა . . . . . . . . . . . . | 3 „ | „ „ |

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება.

Უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ თავის აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უ ფ უ ლ ო თ გ ა ზ ე თ ს ა რ ა ვ ი ს ა რ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ს.

---

## ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

**ლოვჩა,** 29 დეკემბერს. (Ოფიციალური). Ისკერთან ბრძოლა 22 დეკემბერს იყო. Სოფია ჩვენ 22-ს კი არა, 23 დავიჭირეთ.

Იმ დღეს, რა დღესაც Ტაშკი-სენთან ბრძოლა იყო, სულეიმან-ფაშა მოვიდა სოფიაში, მაგრამ ისევ უკან გაბრუნდა ფილიპოპოლისაკენ. 1,600 მძიმეთ დაჭრილი და მამაკვდავი სალდათი დასტოვეს ოსმალოებმა სოფიაში; ღენ. Გურკომ ამათ ვერაფერი შემწეობა ვერ მისცა, რადგან, Ბალკანზე გადმოსვლის დროს მხოლოთ თავის ჯარისათვის აუცილებლად საჭირო წამლები წამოიღო თან.

Სოფიის ახლო-მახლო ჩვენ ჯარებს მუდამ წვრიმალი შეტაკება აქვთ ბაშიბუზუკებთან.

**გოგოტი,**27 დეკემბერს.(ოფიციალური).Ტაშკი-სენთან ბრძოლის შემდეგ, Ოსმალოებმა მიატოვეს Არაბ-Კონაღი და Შანდორნიკი.

21 დეკემბერს ღენ. Დანდევილისა და [illegible]ოკას ატრიადებმა დაიჭირეს Ზლატიცა, საიდამაც Ოსმალოს ჯარი ადრევე წავიდა.

22 დეკემბერს ავიღეთ Პეტრიჩევი. Ოსმალოებმა აქედამ Თათარ-Ბოზარჯიკში დაიწიეს. Დამზვერავი ატრიადების მოხსენებით Იხტემანთან და Ტრაიანის კარებთან დიდ-ძალი ჯარი დგას ოსმალოისა ცხენოსანი და ქვევითა.

**გოგოტი,** 27 დეკემბერს. (ოფიციალური). Ზლატიციდამ წავიდნენ Ოსმალოს ჯარები და გაჩერდნენ პოზნიცაში. 24-სა და 25 დეკემბერს ჩვენმა ატრიადმა დაათვალიერა Ტრაიანოვის Ვალი Თეკისაკენ და დარწმუნდა, რომ ეს ადგილები მტერს ძალიან გამაგრებული აქვს. Ამ დათვალიერების დროს ჩვენ გაგვიყინა 2 აფიცერი და 60 სალდათი; ამას გარდა მტერმაც 10 მოგვიკლა და 18 დაგვიჭრა.

Ამავე დღეს პოლკოვნიკმა პრაევსკის ორის პოლკით დაიჭირა Ახმეტლი, რომელსაც იცავდა Ოსმალოს 6 ტაბორი. Ამ დროს ჩვენის მხრით 100 კაცია მოკლულ-დაჭრილი.

**გოგოტი,** 28 დეკემბერს. Ღამით 26 დეკემბერს, ღენ. Კარცოვმა დაუარა თავი Ტროიანოვის ვალში გამაგრებულს მტერსა და აიღო რედუტი, სახელად „Არწივის ბუდე".

Ამ ორ დღის განმავალობაში ჩვენის მხრით სულ 2 აფიცერია დაჭრილი, 18 სალდათი მოკლული და 187 სალდათი დაჭრილი.

**ლონდონი,** 28 დეკემბერს. Სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი, რომ Ოსმალოს მინისტრებს მიუღიათ დროებით მორიგების პირობები და წარუდგენიათ სულთანისათვის დასამტკიცებელად. Ლორდ Დერბის რჩევით, პორტა პირ-და-პირ რუსეთთან დაიწყებს ამ დროებით მორიგებაზედ მოლაპარაკებასა.

---

## ომის ამბები

### აზიის ბრძოლის ველიდამ

Სტამბოლის გაზეთებში იწერებიან Არზრუმიდამ, რომ მუხთარ-ფაშამ 14 დეკემბერს მიატოვა Არზრუმი და Ერზინგაინში წავიდაო იმ განზრახვით, რომ იქ ახალი ჯარები დაამზადოსო.

Ამავე საგნის თაობაზე Ვენის გაზეთს „Presse"-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 18 დეკემბერს Თფილისიდამ მიღებული:

„მუხთარ-ფაშა 14 დეკემბერს წავიდა Არზრუმიდამ. რომ არავინ იცნოს, იმან უბრალო სალდათის ტანისამოსი ჩაიცვა და თან აგრეთვე გადაცმული ერთი კონსული გაიყოლია. რუსის ყაზახებმა დაუჭირეს ამ კონსულს, რომ ეს უბრალო დაჭრილი სალდათი არის Ოსმალოსიო და დაუბრკოლებლივ გაუშვეს."

---

„Ვოლფის სააგენტოში" დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 19 დეკემბერს მიღებული სტამბოლიდამ:

„Ბათუმიდამ მოვიდა ამბავი, რომ Გობარტ-ფაშის ესკადრას დასცემიან რუსის ლაღმით ამფეთქი ნავები, მაგრამ ვერა დაუკლიათ-რა.

„Გობარტ-ფაშა ხომალდით „Იზზედინით" წავიდა Ფოთისაკენ დასათვალიერებლად; Გრიგოლეთში დაუშინა სახლებსა და წისქვილებს ზარბაზნები და მერე გამოიყვანა ხმელეთზე თავის ჯარები და დააწვევინა იმათ ეს სოფელი.

„რუსის ჯარი (ღენ. Კომაროვის, Არტაანის ატრიადი) მიადგა Არტვინს ასაღებათ; მაგრამ ვერ აიღეს და ისევ უკან დაბრუნდნენ."

---

Გაზეთის „Голосъ"-ის კორრესპონდენტი ასე აგვიწერს იმ Ოსმალოს პარახოდის ნახვას, რომელიც რუსის ცეცხლის-გემმა სახელად „რუსეთმა" ბათუ

მის მახლობლად დაატუსაღა 750 კაცი:

„მე ვთხოვე ნებართვა ჩვენი ხომალდის ლეიტენანტს ბარანოვს და შევედი კაიუტში, სადაც 12 ოსმალოს აფიცერი ისხდნენ ახლად დატყვევებულები; კაიუტი სავსე იყო მაყურებელი ხალხით. ტყვეები თამამათ ისხდნენ და თავის მხრით გასტერებით გვიყურებდნენ ჩვენ და ყველა კითხვაზე პასუხს გვაძლევდნენ.

— ვინ არის თქვენში ყველაზე უფროსი აფიცერი? ვკითხე მე ერთს ახალგაზრდა აფიცერს.

— აი ის! მიმითითა იმან ერთს შუა ხნის გამხმარ აფიცერზე, რომელსაც ოქროთ მოქედილი სახელი და საყელო ჰქონდა.

— რა ჩინი გაქვთ თქვენ?

— ბიმბაში (მაიორი) ვარ.

— არ გეჩოთირებათ განა, რომ ეს ხალხი ასე შემოგჩერებიათ?

— რა ვქნათ? თქვენები რომ მოჰყავთ, ჩვენც ასე შევჩერებივართ და ვათვალიერებთ.

— რამდონი გყავთ თქვენ ჩვენი ტყვე?

— ათას ხუთასზე მეტი იქნება. ყველა სტამბოლშია და კარგათ ვინახავთ.“

—

ერთი რუსული ოფიციალური გაზეთი გვაცნობებს, რომ 8 ქრისტეშობისთვემდინ რუსეთის მხრით ევროპისა და აზიის ბრძოლის ველზე სულ 80,412 კაცი არის მოკლული და დაჭრილიო.

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

უპთავრესი ყურადღება რუსეთის მხედრობას ევროპის ბრძოლის ველზე ამ ჟამად ადრიანოპოლისაკენ აქვს მიქცეული.

ჩვენ ვიცით, რომ ერთის მხრით აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ბოლგარიაში ორი კორპუსი არის დატოვებული—მემკვიდრისა და ღენ. ციმერმანის—იმ განზრახვით, რომ იქაურს შესანიშნავ ციხექალაქებს—რუსჩუკს, შუმლას, ვარნასა და სილისტრიას შემოერტყან გარშემო და აიღონ.

მეორეს მხრით ორი სხვა კორპუსი—ღენ. გურკოსი და რადეცკის უკვე გადავიდნენ ბალკანის მთებზე; პირველ ამ ატრიადთაგანმა აიღო ოსმალოებისაგან მიტოვებული ქალაქი სოფია, მეორემ, როგორც გუშინდელ ოფიციალურმა დეპეშამ შეგვატყობინა, დაატყვევა მთლათ ოსმალოს შიპკოს ატრიადი 41 ბატალიონი თავის 10 ბატარეიით.

ახლა ეს ბალკანზე გადასული ორი კორპუსი, უეჭველია, შეერთდება და პირ-და-პირ ადრიანოპოლის ასაღებად გასწევენ.

ამიტომ ურიგო არ იქნება მოვიყვანოთ აქ რამდენიმე ცნობა იმაზე, თუ რა ძალა დაუხვდება ოსმალოსი იქ რუსებს გასაჩერებლად. ამ საგნის თაობაზე გაზ. „Times“-ის კორრესპონდენტი აი რას იწერება:

„სულეიმან-ფაშას, როგორც ამბობენ, 40,000 კაცი მოჰყავს ბოლგარიიდამ. ამას გარდა 40,000 კაციც ვარნიდამ სტამბოლს მოსულა და აქედამ ადრიანოპოლს გაგზავნილია. ეს შესდგა 80,000 კაცი გაწრთვნილი და სამხედრო საქმეში დახელოვნებული ჯარი. ამას შეიძლება მოუმატოთ კიდევ 30,000 კაცი, რომელსაც სტამბოლიდამ აგზავნიან ამ მოკლე ხანში.

„ამნაირად სულეიმან-ფაშა 110—120,000 კაცს დახვედრებს მტერს ადრიანოპოლთან.

„რასაკვირველია, ამ ჯარით შეიძლება გააჩეროს სტამბოლისაკენ მიმავალი მტერი; მაგრამ ის დიდხანს ვერ გაუძლებს რუსებს, რომელნიც, პლევნის აღების შემდეგ, მომეტებულ ნაწილს თავის თითქმის 400,000 კაცისაგან შემდგარ არმიისას პირ-და-პირ აქეთკენ გამოსწევენ.“

—

18 დეკემბერს ბუხარესტიდამ მოსულს დეპეშაში იწერებიან:

„დ. მ. მემკვიდრე ისევ რუსჩუკის ატრიადის მთავარ-სარდლად დარჩება. ღენ. ტოტლებენი დანიშნულია მისს უმაღლესობასთან იმისთვის, რომ ხელმძღვანელობა იქონიოს რუსჩუკის ასაღებად საჭირო მუშაობის დროს.

„პლევნის აღების დროს რაც ზარბაზნები ხვდათ რუმინებს, ყველა ბუხარესტში მოიტანეს.“

# საქართველო

## დღიური

** ამ ნომრით ვათავებთ ჩვენ წლევანდელ წელს. ხვალ გამოვა 1878 წლის პირველი ნომერი ჩვენის გაზეთისა...

ჩვეულებრივად, ამ მომავალი წლის პირველს ნომერში ჩვენ მოველაპარაკებით მკითხველს როგორც იმაზე—თუ რა შეგვძინა ჩვენ გასულმა 1877 წელმა და რას მოველით, ანუ რას უნდა მოველოდეთ, მომავალის 1878 წლისაგან..

ახლა კი გაკვრით შევნიშნავთ მხოლოთ იმას, რომ ეს მომავალი წელიწადი ჩვენი კავკასიის ლიტერატურის გაცხოველებით იწყება: 1 იანვრიდამ სამი ყოველ-დღიური გამოცემა გვემატება: უფ. ნ. ნიკოლაძის რუსული გაზეთი „*Обзоръ*“, უფ. გრ. არწრუნის სომხური „მშაკ“, რომელიც დღემდის კვირაში ორჯერ გამოდიოდა, დღეიდამ მუდამ დღე დაიწყებს გამოსვლას და „Тифлисскія объявленія“, თუ შეიძლება, რომ ამ განცხადებათა ფურცელსაც გამოცემა დავარქვათ.

ჩვენ გავიგონეთ კიდევ ერთი ახალი ამბავი, რომელიც ჩვენ, ქართველებს, უფრო დაახლოებით შეგვეხება: ამბობენ, ვითომც „ივერიის“ გამომცემლებსა და თანამშრომლებს მოლაპარაკება აქვთ ქართული ჟურნალის გამოცემაზედ, თუ „საქართველოს მოამბის“ განახლებაზედ, ნამდვილად არ ვიცით.

** დღეს, პარასკევს დილით, ქალაქის მცხოვრებლები აღელვებულები დარბოდნენ ქუჩებში, რადგან ზარბაზნის სროლა შეიქნა, და ვინც არ შეხვდებოდათ, ყველას ჰკითხავდნენ:

— რა ამბავია? რათ არის სროლა?

— არზრუმი აიღეთ? და სხვ.

ბოლოს აღმოჩნდა, რომ ზარბაზნის სროლა იმიტომ ყოფილა, რომ ღენ. რადეცკის კორპუსს დაუტყვევებია ოსმალოს შიპკოს ატრიადი, სულ 41 ბატალიონი თავის 10 ბატარეიით.

** პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ იქაურ საზოგადოების ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია კავკასიის სხვა-და-სხვა სურათებზე, რომელიც მხატვრობის პროფესორმა პრემაცციმ საყოველთაოდ გამოფინაო. განსაკუთრებითი ყურადღება დაუმსახურებია, სხვათა შორის, შემდეგ სურათებს: „დარიალის ხევს“, რომელზედაც მოჩანს ძველი, თამარის კოშკი, „ერევნის ქურთი“, „ახალციხელი სომეხი, „ქართველი მებატონე“, „ქართველი თავადის ცოლი“ ნაციონალურს ტანისამოსში და სხვ.

** „მმართებლობის მოამბე“ გვაცნობებს, რომ უმაღლეს მთავრობას მომავალი წლისათვის 50,000 მანეთი დაუნიშნავს კახეთიდამ დაღესტანში გზის გასაყვანად.

** სიღნაღიდამ გვწერენ, რომ წელს აქეთკენ დიდი ზამთარი არისო, თოვლი და ყინვაცო; და ამ ზამთარმა თან ავათმყოფობაც მოიტანაო; სხვათა შორის, ყვავილის გავრცელებას უჩივიან.

** ქვემო იმერეთიდამ გვატყობინებენ, რომ ქარი ჩადგაო და მაგიერად ამ ჟამად თოვლია დაიწყოვო.

ორპირში ხის ხიდი გაუკეთებიათ ცხენის-წყალზე და ეს გარემოება ძალიან ახარებს ადგილობრივ მცხოვრებლებს, რადგან დღეის შემდეგ ისინი პარომზე დიდის გაჭირვებით გადასვლა-გადმოსვლას მორჩებიან.

## „დროების“ კორრესპონდენცია

კახეთი, 28 დეკემბერს. მოგვივიდა ზამთარი! ზამთარი მხოლოთ სიცივისა, რადგან თოვლი სულ ორის მზიანის დღის საგძალიც არ მოსულა, თუმცა მეორე კვირაც არის ერთსანერთზედა თოვლს ფუქსავატათ, თითქოს ბუნებას ესეც არ ემეტებაო, რადგან გლეხის შრომისათვის სასარგებლოაო. თვითონ კავკასიის ქედებიც დაუთოვლავია ისევე.

მარამ სიცივეები სასტიკები დაიჭირა და ნახევარი გლეხი ხალხი ავათმყოფაა

გაჰხადა და თითო-თითოთ ისტუმრებს ამ მოუსვენარის სოფლიდამ მოსვენებაში. ცოცხლები, არამც თუ მკვდრებს მგლოვობენ ძველებურათ, პირ-იქით შეჰხარიან, რადგან გულის გამაცხოველებელს მზესაც მოსწყდნენ ეს ორი თვე არის, ღრუბლიანის ტაროსებისა გამო, და ამბობენ:

„—ძაცო! ეს მზეც მოვაჭრე სომხებმა ხომ გირაოთ არ დაიჭირეს!"

მართლადაც ამისთანა ნოტიო და მოსავლისათვის ხელის-მომწყობი შემოდგომა ბევრს არ უნახამს. ძრიელ კარგი საიმედო ჯეჯილებიც არის, ასე რომ იმედია, თუ ასე ხელი შეუწყო ტაროსმა, მერმისაც წლევანდლისთანა მოსავალი მოვიდეს. ერთი მარცვალიც არ მოჰკლებია ნათესს ჭიანჭველის, თაგვის თუ მფრინველებისაგან. ეს კარგი ნიშანია.

მაგრამ ჩვენებური სომხის ოსტატობას ვინ დაუდგება წინა და ან რა თაგვ-ჭიანჭველასთან მისაბაძებელნი არიან! ამათ ეხლავე გლეხის მომავალის მოსავლის ნახევარზედ მეტი მითვისებული აქვსთ სხვა-და-სხვა ოსტატობით... სწორეთ მოგახსენოთ, სამართლის (?) გზა არ იციან: გლეხმა თუნდა ხუმრობითაც არის „ვერ მოგცემ" უთხრას, მაშინვე უნდა მშიერის მუცლით გაედევნოს ჯიბე და ხურჯინ სავსე სომეხსა სამართლისაკენ, რომელიც მოპასუხის მისვლამდინვე თავის უკულმართს საქმეს გაწალმართებულს დაახვედრებს... ამაზედ არც მოსამართლეები იტკივებენ თავებსა:

მეხუთე წელიწადია, რაც ერთის სოფლის მთელმა გლეხთ საზოგადოებამ მთავრობას თხოვნა მიართო — „რაც რამ გვებადა, სულ სომხებმა წაგვართვეს, უკანასკნელი ქვაბიც არ შეგვარჩინეს, რომ ცოლ-შვილს ბალახი მოუხარშოთ და იმითიმც არის ვჰკვებოთო." მარამ იმისი პასუხი იქნება თქვენ კი გაიგეთ რამე და ამათ არაფერი. შემდგომ ორის წლისა მიჰმართეს ერთს სასულიერო-პირს: „იქნება ღვთის შიში და ხათრი კიდევ ჰქონდეს ვისმე და ამის ცდითა და შუამდგომლობით გვეშველოს რამეო!" მარამ კიდევ ვაი თქვენს მტერს, ნეტავი რამდენიმე სისხლის ოფლით მონაღვაწი გროშებიც არ გაეყოლებინათ თანა, თორემ აქედამაც ის გამოვიდა, რაც პირველიდამ და დარჩნენ ღვთისა და კაცისაგან იმედ-მიხდილნი.

ყველა გულის შემატკივარნი ჩასჩიჩინებენ ამ გატანჯულებს: „მამულები ისევ დაგიბრუნდებათ, რადგან სახელმწიფო ქონების გამგეობის ნება-დაურთველათ არის დაყიდულებიო." ესევე აზრი განუცხადა 16-ს წარსულს ნოემბერს, დავების გარჩევის დროს, ოკრუჟნოი სუდის მეჟევოი ოტდელენიაში უპელნომოჩენმა ხაზინის მხრიდამ თავადმა ხერხეულიძემ, რომლისა გამო დანიშნულია ადგილობრივი გამოძიება, მაზედ თუ ნამდვილათ 1872 წელში ზემლემრისთვის ნაჩვენები სომხებისაგან თავიანთად ვენახები და სახნავები არის სახელმწიფო მამულები თუ არა?

ესეც ძალიან კარგი! მარამ გამოძიება როდის-ღა უნდა იყოს? მაშინ, როცა ვაზის ძირკვიც აღარ იქნება იმ გაყიდულს ღედამიწაში? საკვირველზედ საკვირველია ამ გვარი თვალ-ყურის უგდებლობა მთავრობისაგან ამ უბედურებზედა.

ხაზინასაც კი დიდი ზარალი ეძლევა ამ გლეხების მამულების სომხებზედ გადასვლით; თუმცა ხაზინა თავის მამულზედ დასახლებულს გლეხისაგან ცხრა მანეთის გარდასახადიდამ კაპეიკსაც არ იკლებს, მარამ ზარალი იმაშია, რომ ყოველი ასი დესიატინა ვენახებიდამ, რომლებიც დღეს სომხებზეა გადასული, წელიწადში ათასი ქვაბის თხლის გამოხდა შეიძლებოდა და რადგან ქვაბსა და მის ზარფუშში, რომელშიაც ორმოცი ვედრო ჩავა და დღე-ღამეშიაც სამზედ მეტი არ გამოიხდება, რომელიც შეადგენდა, ვედროზედ ხუთი შაური, თუმანსა დღე და ღამეში და ათასი ქვაბი სამას ოცდა ცამეტ თუმანსა წელიწადშია.

აი აქედამა სჩანს ყოველ წლიური ხაზინის ზარალი. რაკი სომხების საკუთრებათ გახდა ის მამულები, გაუკეთებლობით სულ ამოვარდა და ბევრი მოიხნა კიდეცა. და ის იმედი, რომ ვენახები უსამართლოთ გაყიდულებია და მალე დაგიბრუნდებათო", რომ დროზედ გაჰმართლებოდათ, იქნება კიდევ სულს მოუდგამდნენ ამ ატიალებულს მამულებსა და გლეხების მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა; დღეს კი სხვა მიწაზედაც ველარ გაუბედნიათ ვაზის გაშენება, რა არის, იმასაც ისინივე წამართმევენო! და ხომ მოგეხსენებათ, რომ უსამართლოთ წართმეული არამც თუ კაცს მხოლოთ ცხოვრებაში აძლევს ზარალსა, არამედ მისს ზნეობაშიაც დიდს ცვლილებას ახდენს და უმღვრევს გულსა...

ვინმე სიღნაღელი

## სია შემომწირავთა

სასარგებლოთ თათრის-ქვეშევრდომთ სომეხთა გადმოსრულთა ღენერალ ტერ-ღუკასოვის შემწეობით რუსეთის სამზღვარში *):

დეკანოზი ტერ-დავით იარალიანცი — 10 მანეთი. ანნა ტერ-დავით იარალიანცის ასული — 3 მან. ელისაბედ ტერ-დავით იარალიანცის ასული — 3. ნინო ხეროდინოვისა — 5. [illegible] ხოჯაევის ასული — 3. სოფიო [illegible]ვისა — 3. მაია ზოჰრაბოვისა. — 3. მართა ბველესიანისა — 5. ლიზა ხეჩიკოვისა — 3. ნატალია ქალანთაროვისა — 1. ეფემია ქალანთაროვისა — 2. მარიამ ქალანთაროვისა — 1. სოფიო მეფისოვისა — 1. რეპსიმე ტუჩაიძისა — 3. მიხეილ ქლდიაშვილი — 1. სიმონ ქურწოვი — 2. ბარბარე დანდუროვისა — 5. ნინა ბაბაევისა — 3. მარიამ ჩარექოვისა — 3. დარიკო ზალინოვისა — 1. მაკა ხოჯაევისა — 3. დარიკო ჭეშმარიტოვისა — 1. ბეგიძე — 1 მ. არტემ აკობოვი — 1. ალექსანდრე შატიროვი — 1. ბოლოვკოვი — 1. უცნობი ვინმე — 1. უცნობი ვინმე — 2. უცნობი ვინმე — 1. პავლოვი — 1. ბიორგიევი — 1. ორბელიანი — 3. N.N. — 1. N.N. — 1. ვ. ბებუთოვი — 3. ხონდორონო — 40 კ. გარასიმ ჰაიკაზოვი — 3. ქოსტანტინოვი — 1. ილია ჭყონია 50 კ. ნინო ყორღანოვისა — 3. როზა ბაინდუროვისა — 3. მარია ბასნევსკაია — 1 სარგის რამანიჩ იოანისიანცი — 10 მ. თინანა ყარაგოზოვისა — 3. ქეკელა შიფინოვისა — 6 მ. ლიზა ოქრომჭედლოვისა — 3. სალომე ხოჯაევისა — 1. მარიამ ზუბიევისა — 1 მ. ანნა მღებროვისა — 1. მარიამ მარიანოვისა — 3. ელისაბედ მურადოვისა — 1. სურათო ალიბეგოვისა — 1. უცნობი ვინმე — 1. უცნობი ვინმე — 20 კაპ. სოფიო ამირალოვისა — 1. ბაიანე მარიანოვისა — 20 კაპ. ქეკელა ყურულოვისა — 1. შუშან ალხაზოვისა — 3. მარიამ მარიანოვისა — 1. სალომე ოვანეზოვისა — 1. ანნა პურადოვისა — 1. ალექსანდრე ბაქრაძე — 1. სოფიო მამაჯანოვისა — 1. რეპსიმე წურინოვისა — 3. უცნობი ვინმე — 1. ნატალია ბარამოვისა — 3 მ. ელენე — 1. ნინო ტერტეროვისა — 1. მ. სოფიო შაჰინოვისა — 1. ქეკელა ვარდანოვისა — 1. ქატარინე ამირალოვისა — 1. მარიამ წურინოვისა 1. ელისაბედ ჩარექოვისა — 1. სალომე ქვარიანისა — 1 მ. ნინო შანიევისა — 1. ქატო მურადოვის — 3 მარიამ თუმანოვისა — 1. ანნა ხარაზოვისა — 1 დარიკო ალანიასი — 1. ნინო ხუმარაძისა — 2. მარიამ პაპისოვისა — 1. რეპსიმე ხუბეროვისა — 1. ქეკელ ბერუჩოვისა — 1. შიმანსკი — 1. გაბრიელ მღებროვი — 1. ოლგა ხელთუბლიშვილის ასული — 1. ანა მღებროვისა — 1. ქეთევან პარენიანცისა — 1. ანა აუშტროვისა — 1. მათათო აუშტროვისა — 1. უცნობი ვინმე — 3. უცნობი ვინმე — 1 მ. იაკობ ყაზაროვი — 2. ანდრონიკოვი — 1. მანეთი უცნობი ვინმე — 10 მან. კაპ. უცნობი ვინმე — 40 კ. უცნობი ვინმე — 20 კ. ვ. მრევლოვი — 3. მ. ტ. ქვინიხიძე — 2. მიხეილ ვართანოვი — 3. ქეკელ ბეგალოვისა — 1. მარიამ ბეგალოვისა — 1. მართა ბეგალოვისა — 1 მან ანუშკი დავიდოვისა — 40 კ. უსნია ბერუჩოვისა — 30 კაპ. მაგდან ბერუჩოვისა — 28 კ. ქალია ბერუჩოვისა — 1. თ. დიმიტრი თუმანოვი — 2. ვ. აბულაძე — 2. ვ. მრევლოვისას შეგროვდა — 3 მ. და 70 კ. ბევორქ ბაბოვი — 10 მ. ალექსან-

*) „დროება", № 225.

დრე მელიქ-ჰაიკაზოვი—25 მ. მარია ტიხამიროვისა—1. თალალ შაჰინოვისა—40 კ. ნათელა—40 კ. უცნობი ვინმე—20 კ. ნინო—20 კ. ქეთევანი—40 კ. უცნობი ვინმე—35 კ. მარიანოვი 60 კ. მაგდან პარუნბეგოვისა 50 კ. მაშო მღებროვისა—60 კ. ნათელა ოვანეზოვისა 40 კაპ.

მთელი ჯ ა მ ი—275 მან. 93 კაპ.

დეკანოზი ტერ-დავით Uარალოვი

# განცხადებანი

რასპორიადიტელნი კომიტეტი საზოგადოებისა, რომელსაც საგნად აქვს თბილისის საქალო გიმნაზიისა და პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლე მზრუნველობა, უმორჩილესად სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, რომ დროით შემოიტანონ მომავალის 1878 წლის ხვედრი ფული, როგორათაც ამას საზოგადოების უსტავის მეოთხე პარაგრაფი მოითხოვს. ფული უნდა ჩაჰბარდეს საზოგადოების კაზნაჩეის, ვახტანგ დიმიტრის ძეს თულაშვილს, თბილისის ოკრუჟნი სუდში, დილის 10-ს სათიდამ ნაშუადღევის 2-ს სათამდე. (3—3)

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა

„ცოლი ვიტირო თუ ფული?"

ოთხ-მოქმედებიანი კომედია

უფ. ალ. ა. თუთაევისა

## „მშაკ"

ლიტერატურული და პოლიტიკური სომხური გაზეთი

1878 წელს გამოვა მუდამ დღე, გარდა უქმეებისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

სივრცე და პროგრამმა გაზეთისა ძველი დარჩება. გაზეთს მოუვა თავის საკუთარი ტელეგრამეები.

გაზეთის ფასი წელიწადში—10 მან. ½ წლის 6 მან. ხელის-მოწერა მიიღება თფილისში გაზ. „მ შ ა კ ი ს" რედაქციაში და უფ. Uატუროვის ლამპის მაღაზიაში.

Uალკე ნომრები 5 კაპ. გაიყიდება. ქ ა ლ ა ქ ს გ ა რ ე შ ე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ: Въ Тифлисъ. Редакція газ. „М ш а к ъ".

გაზეთი **ივერია** გამოვა 1878 წელს იმავე სახით, იმავე პროგრამმით და ისევ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ფასი ერთის წლისა, გაგზავნით თუ გაუგზავნელად, შვიდი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, „ივერიის" რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთაწმინდის ქუჩაზედ, შიოევის სახლების ზემოდ, ქანანოვის სახლში, სახლი № 5.

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

თბილისის გარედ მცხოვრებთა შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი „ივერია" ამ ადრესით: *Въ Тифлисъ, въ редакцію газеты ИВЕРІЯ.*

ხელის-მოწერა 1878 წლისა.

## „თფილისის მოამბე"

წელიწადი მეექვსე

1878 წელს „თ ფ ი ლ ი ს ი ს მ ო ა მ ბ ე" გამოვა მუდამ დღე გარდა უქმი დღეების შემდეგ დღეებისა.

ხელ-მოსაწერი ფასი

| | გაუგზავნ. | გაგზავნით თფილისში | რუსეთში |
|---|---|---|---|
| ერთი წლით — — — — | 10 მან. | 11 მან. | 12 მან. |
| 6 თვით — — — — — | 5 „ 50 კაპ. | 6 „ | 6 „ |
| 3 — — — — — — | 3 „ — „ | 3 „ 50 კაპ. | 4 „ |
| 1 — — — — — — | 1 „ — „ | 1 „ 25 „ | 1 „ 50 კაპ. |

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, ერევნის მოედანზე, № 3, ურთი-ერთ კრედიტის ბანკის გვერდით.

ქალაქის გარეშე ხელის-მომწერნი ამ ადრესით მოიწერებიან: *Въ Тифлисъ, въ редакцію „Тифлисскаго Вѣстника."*

ხელის-მოწერა მიიღება ყოველი თვის 1 რიცხვიდამ მხოლოთ წლის დამლევამდინ.

ქალაქის ხელის-მომწერლებმა ამას გარდა შაურიანი მარკის ფული უნდა შემოიტანონ. რ. (3—3)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

ფოშტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის აქეთ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 25 დეკემბ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 23 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 248 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½. | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 95 | [illegible] |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 227 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 220 | 50 |
| ბირჟის ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის (5½) | 85 | 25 |
| მოსკოვის (5½). . . | 85 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 527 | — |
| კავკასის და მერკური . | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | - |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 29 ქრისტეშ. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 2 | 20 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 80 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 9 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 10 | — |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 12 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 70 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 90 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 80 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 14 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 72 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 72 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 15 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 9 | 20 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 8 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 28 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 14 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 8 | 20 |

*Дозволено цензурою Тифлисъ, 30 Декабря 1877 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.